28 MHz / 256QAM	185	-66	-27 to +5
28 MHz / 512QAM	208	-64	-27 to +5
28 MHz / 1024QAM	230	-60	-27 to +5
56 MHz / QPSK	100	-83	-27 to +5
56 MHz / 8QAM	139	-79	-27 to +5
56 MHz / 16QAM	185	-76	-27 to +5
56 MHz / 32QAM	232	-73	-27 to +5
56 MHz / 64QAM	278	-70	-27 to +5
56 MHz / 128QAM	324	-67	-27 to +5
56 MHz / 256QAM	370	-64	-27 to +5
56 MHz / 512QAM	417	-60	-27 to +5

56 MHz / 1024QAM	459	-57	-27 to +5
80 MHz / QPSK	132	-81	-27 to +5
80 MHz / 8QAM	200	-77	-27 to +5
80 MHz / 16QAM	265	-75	-27 to +5
80 MHz / 32QAM	330	-71	-27 to +5
80 MHz / 64QAM	400	-68	-27 to +5
80 MHz / 128QAM	463	-65	-27 to +5
80 MHz / 256QAM	530	-62	-27 to +5
80 MHz / 512QAM	600	-58	-27 to +5
80 MHz / 1024QAM	660	-54	-27 to +5
112 MHz / QPSK	184	-79	-27 to +5
112 MHz / 8QAM	277	-75	-27 to +5
112 MHz / 16QAM	369	-73	-27 to +5
112 MHz / 32QAM	461	-69	-27 to +5
112 MHz / 64QAM	553	-66	-27 to +5
112 MHz / 128QAM	646	-63	-27 to +5
112 MHz / 256QAM	740	-60	-27 to +5
112 MHz / 512QAM	830	-56	-27 to +5
112 MHz / 1024QAM	900	-52	-27 to +5
Automatic power control	ATPC		
Adaptive coding and modulation	Hilless ACM		
<b>User interfaces</b>			
Protected terminal box	ALS1-GEth (RP) / ALS1-2GEth (RP)		
Line2	Ethernet 1000Base-T / 100Base-TX / 10Base-T, connector RJ-45 on terminal box		
Line3	Ethernet 1000Base-T / 100Base-TX / 10Base-T, connector RJ-45 on terminal box		
Line4	SFP slot for Ethernet 1000Base-SX / 1000Base-LX / 1000Base-BX / 1000Base-T or E1, connector on ODU		
Maximal packet length	2048 / 10240 bytes		
Supports	VLAN, Auto Negotiation or manual setting 1000 / 100 / 10 and Full / Half Duplex, QoS, Flow Control, Auto MDIX, Master / Slave		
<b>Control and diagnostic system</b>			
Management port	Ethernet NMS separately or together with user data with possibility of VLAN separation		
Management port	RS232 connector on ODU for direct NMS connection		
Supports	SNMP v1		
<b>ODU connection</b>			
Cable type	S-STP/S-FTP Cat.7 cable is connected to cutting strips "KRONE" both in ODU and protected terminal box		
Cable length	Up to 90 m for Ethernet 1000Base-T, up to 100 m for 100Base-TX and up to 250 m for 10Base-T		
Optical cable	Fibre optic cable is determined by used SFP module		
<b>Antennas</b>			
Horn gain mid band (dBi)			
0.35 m gain mid band (dBi)	35		
0.65 m gain mid band (dBi)	41		
0.90 m gain mid band (dBi)	44		
1.20 m gain mid band (dBi)	47		
Class	ETSI Class 2 or 3		
Polarization	Dual		
<b>Power supply</b>			
Power supply	48 V DC (36-72)		
Power consumption	Up to 25 W		
<b>Temperature range</b>			
Outdoor unit	-33 to +55 °C		
Protected terminal box	-25 to +55 °C		
<b>Dimensions (w x h x d) and weight</b>			
Outdoor unit	255 x 301 x 133 mm / 5.1 kg		
Protected terminal box	147 x 44 x 163 mm / 0.4 kg		
Horn antenna			
Antenna 0.35 m	5.6 kg		
Antenna 0.65 m	8.3 kg		
Antenna 0.90 m	26 kg		
Antenna 1.20 m	36 kg		
* Production plant always sets the output power regarding on used antenna diameter to 100 mW (20 dBm) e.i.r.p.			

AL24F MP400 SRD brochure

Подписка

Введите Ваш E-mail для рассылки новостей\*

Подписаться


Оборудование связи

საინფორმაციო პლატფორმის აღწერა:

### საინფორმაციო მუშაობის პროცესში ვიყენებთ პროგრამა ტოპიკ-პულსი TopicPulse

ეს სისტემა ნიუსრუმს და კონტენტ-პროდიუსერებს აწვდის საჭირო ინფორმაციას იმის შესახებ, კონკრეტულად რომელი თემები ადელვებს ყველაზე მეტად ლოკალურ სოციალურ ჯგუფებს რეალურ დროში. როცა ვქმნით კონტენტს რადიოსთვის, **TopicPulse** გაძლევთ სრულ სურათს, რომელი თემებია ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენს ბაზარზე მოცემულ მომენტში. **TopicPulse** სისტემა იყენებს ინფორმაციის პირდაპირ ნაკადს სოციალური ქსელების, ბიზნეს გამოცემების და საინფორმაციო სააგენტოების ვებ-გვერდებიდან და წარმოადგენს კონტენტის მოპოვების საშუალებას ფართო სივრცეში. რაც საშუალებას გავაძლევს მსმენელს მივაწოდოთ უახლესი ინფორმაცია, როგორც ადგილობრივი ისე მსოფლიოში მიმდინარე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ბიზნეს პროცესებზე.

გარდა ამისა კომერსანტს უკვე ექსპლაცაციაში აქვს ბიზნეს-ანალიტიკური პორტალი **COMMERSANT.GE** რომელსაც ყოველდღიური უნიკალური 10 000 მომხმარებელი ყავს. აგრეთვე საზოგადოებრივ პოლიტიკური პორტალი **POLITCOMMERSANT.GE** და სარესტორნო და დასვენების იდუსტრიაზე მომუშავე პორტალი **MYREST.GE** სადაც თავსდება რადიოს სარედაქციო ჯგუფის მიერ მომზადებული მასალები როგორც ტექსტური ფორმით ასევე აუდიო ფაილები - რადიო გადაცემები. აღნიშნულ საიტზე მიხმული სოციალური ქსელები უზრუნველყოფენ მაქსიმალურ კონტაქტს როგორც მკითხველთან ასევე რადიოს მსმენელბთან.





## განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა დაინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ

განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსებას კომპანია უკვე წლებია საკუთარი სარეკლამო შემოსავლების საშუალებით ახორციელებს.

წლების განმავლობაში რადიოს თემატური აქტუალობიდან და მედია სარეკლამო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პოზიციიდან გამომდინარე ყავს ორმხრივად გამოცდილი ბიზნეს პარტნიორები და დამკვეთები. კომპანია აგრეთვე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან (UNDP, ევრაზიის განვითარების ფონდი) რომელთა ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა რამოდენიმე წარმატებული რადიო პროექტი. კომპანია სრულად უზრუნველყოფს რადიოს 20 კაციანი თანამშრომელთა გუნდის სახელფასო და სოციალურ უზრუნველყოფას (სამედიცინო დაზღვევით) აგრეთვე რადიოს ტექნიკურად გამმართულ მაუწყებლობას.

წარმოგიდგენთ კომპანიის პარტნიორებს და მათთან არსებულ ხელშეკრულების რეესტრს.

დამკვეთი	მოქმედების ვადა
სს ბანკი რესპუბლიკა	25.10.2015-25.10.2016
შპს ლა გრანდე დიმორა	12.10.2015-15.12.2015
სს ფინკა ბანკი საქართველო	28.09.2015-28.12.2015
შპს მეგარონ	25.09.2015-25.12.2015
ონლაინ ფაინენს	08.09.2015-31.12.2015
შპს აპრიკოტსოფთვეარ	02.09.2015-02.01.2016
შპს ნიკორა ტრეიდი	01.09.2015-01.09.2016
შპს ვებერი	15.07.2015-31.12.2015
სს საქართველოს ბანკი	29.06.2015-31.12.2015
აიდიეს ბორჯომი საქართველო	07.04.2015-07.04.2016
შპს ჯეპრა	07.04.2015-31.12.2015
სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო	01.04.2015 – 30.12.2015
სს თიბისი ბანკი	01.04.2015-31.12.2015
შპს ნიკორა ტრეიდი	01.04.2015 – 01.04.2016
შპს კსკ ფარმა	01.04.2015-31.12.2015
შპს მაგთიკომი	10.03.2015 – 31.12.2015
შპს თეგეტა მოტორსი	01.03.2015 – 31.12.2015
სს პაშა ბანკი საქართველო	01.03.2015 – 01.02.2016
შპს სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი	01.02.2015 – 01.02.2016

სს ლიბერთი ბანკი	01.02.2015-01.02.2016
სსიპ სამხედრო ტექნიკური ცენტრი დელტა	01.02.2015 - 31.12.2015
სურსათის ეროვნული სააგენტო	01.02.2015 - 31.12.2015
სს კორ სტანდარტ ბანკი	01.01.2015 - 01.01.2016
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი	01.01.2015 - 31.12.2015
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	01.01.2015 - 31.12.2015
სს ვი თი ბი ბანკ ჯორჯია	31.12.2014 - 31.12.2015
სს ბაზის ბანკი	01.07.2015-31.12.2016
შპს სადაზღვევო კომპანია არდი	01.04.2015-31.12.2016
შპს აქსის გრუპის	15.08.2015-15.08.2016
შპს ჭავჭავაძის 49	15.08.2015-15.08.2016
შპს თერმა	01.12.2015-01.12.2016
შპს თბს ტვ მედია	20.07.2015-31.05.2016
შპს ჯეო ავტო 1	01.05.2015-01.05.2016
შპს გლორია	27.10.2015-27.10.2016
შპს სადაზღვევო კომპანია უნისონი	01.09.2015-01.09.2016
შპს თბილისის მიკროავტობუსი	07.09.2015-07.09.2016
შპს არესემ საქართველო	25.11.2015-25.11.2016
სს სადაზღვევო კომპანია კოპენზური	15.07.2015-15.07.2016
შპს ჰაიდელბერგ ცემენტ კაუკასუსი	28.09.2015-28.12.2016
შპს ას ჯორჯია	17.11.2015-17.06.2016
შპს რუსთავის ფოლადი	01.12.2015-01.12.2016
შპს სითი კონსალტინგი	01.09.2015-01.09.2016
შპს ენერჯი ბაზა N1	15.10.2015-15.10.2016
სს media partners	01.07.2015-31.12.2016

## განსახორციელებელი სამუწყებლო კონცეფცია

რადიო „კომერსანტი“ არის დამოუკიდებელი, კერძო, კომერციული სტრუქტურა.

„კომერსანტი“ პირველი ბიზნეს-რადიოა საქართველოში, რომელმაც მაუწყებლობა დაიწყო 2008 წლიდან და ქართულ მედია სივრცეში პირველმა შესთავაზა მსმენელს მხოლოდ ეკონომიკაზე და ბიზნესზე ორიენტირებული საინფორმაციო გამოშვებები.

7 წელიწადზე მეტია „კომერსანტი“ როგორც პროდაქშენ ჯგუფი „ჩვენი რადიოს“ კუთვნილ სიხშირეზე ფშ 95.5 წარმატებით ახორციელებდა მიზანს რაც ბიზნესის და ეკონომიკის სფეროში საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდაში, ეკონომიკურ პროცესებში საზოგადოების ჩართულობის და ასევე ქვეყანაში ბიზნესგანათლების დონის ამაღლებაში გამოიხატება.

რადიოს დაარსებიდან დღემდე „კომერსანტმა“ მსმენელთა დიდი აუდიტორია შექმნა. ჩვენი მსმენელი დღეს არიან არა მხოლოდ მსხვილი კომპანიების ხეკმძღვანელები, არამედ ამ კომპანიის რიგითი თანამშრომლები, მცირე და საშუალო ბიზნესი, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი. პოლიტიკური პარტიები და სტუდენტები ყველა, ვისაც აინტერესებს საქმე. ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროექტები და აქვს ბიზნესი ან ფიქრობს ამ მიმართულებით განვითარებაზე.

რადიოს საეთერო მაუწყებლობა:

საინფორმაციო გამოშვება :

რადიო „კომერსანტის“ საინფორმაციო სამსახური მსმენელს სთავაზობს პოლიტიკის, ბიზნესის და ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვან სიახლეებს საათში სამჯერ, ყოველ 20 წუთში:

მთავარი საინფორმაციო გამოშვება - ყოველ სრულ საათზე

მოკლე საინფორმაციო გამოშვებები - საათის 20 და 40 წუთებზე.

საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ბიზნეს ამბები ხდება კომერსანტის საინფორმაციო გამოშვების თემა და მასალა. საზოგადოებისთვის მუდმივად აქტუალური თემების უწყვეტი მონიტორინგი, აგრეთვე ჟურნალისტების ჩართვები პირდაპირ ეთერში მოვლენის ადგილიდან და საზოგადოების ყველა სფეროს ჩართულობა ინტერაქტივით, მთლიანად უზრუნველყოფს საინფორმაციო გამოშვების თემატურ მრავალფეროვნებას.

კომერსანტში ჩამოყალიბდა პროფესიონალი ჟურნალისტებით, ანალიტიკოსებით და ექსპერტებით დაკომპლექტებული სარედაქციო ჯგუფი, რომლებიც წლებია წარმატებით აწვდის მსმენელს კვალიფიციურ, პრაქტიკულ ინფორმაციას და ანალიზს ბიზნესის და ეკონომიკის სფეროში. რომელიც ადვილად აღსაქმელია და გასაგებია ყველა ტიპის მსმენელისთვის. საინფორმაციო გამოშვების ყოველ 20 წუთში ერთხელ დინამიკა, მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის უახლეს ინფორმაციას.

რადიოს საინფორმაციო ჯგუფი მაქსიმალური ყურადღებით სწავლობს და ამოწმებს ყველა მოვლენას თუ ფაქტს რესპოდენტთა ჩართულობით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფო თუ ადმინისტრაციულ სტრუქტურების მონაწილეობით.

„დღის ბოლოს“ დღის მთავარი თოქშოუ ყოველ საღამოს, 19:10 საათზე გადის დღის შემაჯამებელი გამოშვება, სადაც სარედაქციო ჯგუფის მიერ შერჩეული დღის ყველაზე აქტუალური თემები იხილება მოწვეულ სტუმრებთან; სახელმწიფოს, ბიზნესის და ეკონომიკის სექტორების იმ წარმომადგენლებთან, ვისაც უშუალოდ ეხება კონკრეტული მოვლენა თუ თემა.

„საათის თემა“ დღეში 6-ჯერ- ქრონომეტრაჟი 10 წუთი. საათის და დღის ყველაზე აქტუალური თემა, რომელზეც მუშობს საინფორმაციოს გუნდი. ჟურნალისტი პირდაპირ ეთერში ცდილობს მოიპოვოს მხარეებისგან მიმდინარე საკითხზე პასუხები. ან ზოგადად დღის განმავლობაში გამოკვეთილი საინტერესო საკითხი განავრცოს და მსმენელს გააცნოს ყველა მხარის პოზიცია.

„კომერსანტის ახალი ამბები“- ინგლისურ ენაზე. დღეში 4-ჯერ ქრონომეტრაჟი 5 წუთი  
ამბები ინგლისურ ენაზე, რომლის საშუალებითაც საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ხელმისაწვდომი ხდება თბილისში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის

გადაცემები და რუბრიკები:

გადაცემა „პროფესიონალები“ – ეთერშია ყოველ დღე 16:10 საათზე.

გადაცემის წამყვანები არიან ბიზნესის და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების პროფესიონალები, რომლებიც მათ სფეროში მიმდინარე მოვლენებს იხილავენ ამავე სფეროს წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან და სფეროში მოღვაწე სხვა პროფესიონალებთან. ქრონომეტრაჟი 45 წუთი. გადაცემა „პროფესიონალების“ წამყვანები და თემატიკა:

„ნავთობიმპორტიორთა კავშირის“ თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი ამ გადაცემაში იხილება საწვავის ქართულ და მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციები, საწვავის და ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლის მექანიზმები. საავტომობილო ბაზარზე არსებული სიტუაცია.

„ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი მაკალათია. გადაცემაში მოწვეულ სტუმრებთან ერთად იხილება საქართველოს და მსოფლიო ეკონომიკაში არსებულ სიახლეებს, მაკრო და მიკრო ეკონომიკის პრობლემებს და გამოწვევებს.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის“ ვიცე-პრეზიდენტი შოთა გულბანი გადაცემაში საუბარია საბანკო და საფინანსო სექტორის შესახებ, ბიზნესის ურთიერთობაზე ბანკებთან და ამ ურთიერთობებში არსებულ პრობლემებზე. თემებს განიხილავენ მოწვეულ ექსპერტები , ბანკირები , ფინანსისტები და ამ მიმართულების მარეგულირებელი და სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები.

სადაზღვევო ექსპერტი ლაშა ნიკოლაძე – გადაცემის საშუალებით მსმენელი იღებს ამომწურავ ინფორმაციას სადაზღვევო ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ. გადაცემის წამყვანი სადაზღვევო კომპანიების და ამ დარგის ექსპერტების მონაწილეობით განიხილავს სადაზღვევო ბაზარის ახალ პროდუქტებს, არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიმდინარეობას.

„ილიაუნის ბიზნესის“ სკოლის წარმომადგენელი თამთა გველესიანი – ამ გადაცემაში მსმენელს ვთავაზობთ კვლევებს ეკონომიკის და ბიზნესის კონკრეტული მიმართულებების შესახებ. ამ კვლევის შედეგებს განვიხილავთ ექსპერტებთან ან კვლევაში მონაწილე კომპანიებთან ერთად.

„საქართველოს ენერჯეტიკის და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტის“ დირექტორი ნუგზარ ბერიძე – სემეკის წარმომადგენელი თავის გადაცემებში დარგის სპეციალისტებთან და ენერჯეტიკული კომპანიების, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად საუბრობს ენერჯეტიკულ სექტორში არსებულ ვითარებაზე.

„ექიმთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი გია ლობჯანიძე – ამ გადაცემაში სხვადასხვა კლინიკების წარმომადგენლები, ჯანდაცვის ექსპერტები და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები საუბრობენ კონკრეტული დაავადებების და მათი მკურნალობის შესახებ, ასევე ჯანმრთელობის საკითხებზე მოსახლეობას რეკომენდაციებს და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებზე. აგრეთვე გადაცემა ეხება ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხებს.

„ეიჩარ პროფესიონალთა გილდიის“ აღმასრულებელი დირექტორი ლილი ბიბილაშვილი – გადაცემის წამყვანი სხვადასხვა კომპანიის ეიჩარ სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად საუბრობს კონკრეტული კომპანიის ეიჩარ-პოლიტიკაზე და დასაქმების ბაზარზე, სფეროში არსებულ პრობლემებზე და ტენდენციებზე.

გადაცემა „დეველოპერის დრო“ – ეთერშია ყოველ ხუთშაბათს 19:10 საათზე. გადაცემა მზადდება რადიოს სპეციალური პროექტების საპროდიუსერო ჯგუფის მიერ. გადაცემის წამყვანი უძრავი ქონების სექტორის წარმომადგენლებთან ერთად ამ დარგში არსებულ ტენდენციებზე და პრობლემებზე საუბრობს. მათ შორისაა მშენებლობის ხარისხი, მშენებლობის ევროპული სტანდარტები, უსაფრთხოების ნორმები, ამ სფეროში არსებული

ფინანსური პრობლემები. ახალი პროექტების განხილვა, შიდა და გარე დიზაინის ახალი მიმართულებები, ქართველი არქიტექტორების აღმოჩენა და პოპულარიზაცია.

გადაცემა „სოციალური პოლიტიკა“ ვახო სანაიასთან ერთად – ეთერში გადის ყოველ ორშაბათს და პარასკევს 12:10 საათზე.

გადაცემის წამყვანი, ჟურნალისტი ვახო სანაია კომპეტენტურ სტუმრებთან ერთად საუბრობს საზოგადოებისთვის სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებზე. მათ შორისაა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, მომსახურების ხარისჯი, პენსიები, საკანონმდებლო ცვლილებები ამ კუთხით და სხვა აქტუალური საკითხები

„პოლიტკომერსანტი“ ყოველკვირეული თოქშოუ რადიო "კომერსანტის" ეთერში. ავტორი - ჟურნალისტი ნინო ჟიჟილაშვილი. დრო - ოთხშაბათი **12:10**. ხანგრძლივობა - **40 წთ**. გადაცემის ფორმატი - საუბარი ბიზნესმენტან სოციალურ, პოლიტიკურ და ფინანსურ თემებზე. პროექტში სტუმრები საუბრობენ პირად გამოცდილებაზე, საკუთარ ხედვებზე, ასევე, აკეთებენ ისეთი მიმდინარე საკითხების ანალიზს, რაც შესაძლოა მათ უშუალო საქმიანობასთან არ იყოს კავშირში და ეხებოდეს ნებისმიერ თემას. გადაცემის ფრაგმენტები ვიდეოს და ინტერვიუს ფორმით იტვირთება საიტებზე "კომერსანტი" და "პოლიტკომერსანტი"

გადაცემა „ბიზნეს-მენიუ“ – გადაცემა ეთერშია ყოველ შაბათს 15:10 საათზე. გადაცემის წამყვანია სარესტორნო-სასტუმრო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად ამ დარგში არსებულ ვითარებას განიხილავს. დარგის პროფესიონალები საუბრობენ კვების ობიექტებზე, მდებარეობაზე, გარემოზე, მენიუზე, მომსახურების სტანდარტებზე, საკვების ხარისხსა და ფასთან შესაბამისობაზე.

გადაცემა „მაირესტ-ჯი“ – გადაცემა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს, 09:25-ზე მსმენელს ვთავაზობთ ინფორმაციას რესტორნების და სხვა კვების ობიექტების სიახლეებზე. ვაძლევთ საინტერესო რჩევებს იმის შესახებ როგორ დაგეგმონ სამუშაო დღის დასრულების შემდეგ თავისუფალი დრო.



"მსოფლიო ეკონომიკა და ბიზნესი", რომლის ავტორი და წამყვანია საერთაშორისო მიმომხილველი გიორგი ჩხუბიანიშვილი. ყოველდღე დღეში 2 ჯერ - ქრონომეტრაჟ 5-7 წუთი წამყვანი ახდენს გლობალური ეკონომიკის და ბიზნესის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების კომპეტენტურ ანალიზს. ავტორი მსმენელს სთავაზობს მსოფლიოს გავლენიანი გამოცემების სტატიების მიმოხილვას. რუბრიკის მსმენელები ყოველთვის საქმის კურსში არიან იმ მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომლებიც წამყვანი მედიის ყურადღების ცენტრში ხვდება.

„კომერსანტის ბირჟა „ ყოველდღიური გადაცემა - ქრონომეტრაჟი 5-7 წუთი პროექტი ხორციელდება საერთაშორისო ტრეიდერი კომპანიის „ ადმირალ მარკეტსთან“ ერთად გადაცემაში აღნიშნული კომპანიის ტრეიდერ ანალიტიკოსები აკეთებენ მსოფლიო სავალუტო და სასაქონლო ბირჟების ანალიზს . მსმენელს აწვდიან მონაცემებს წამყვანი ბირჟების დღის სავალუტო ვაჭრობის შედეგებზე და მოსალოდნელი ფასთა კოტირების პროგნოზებს.

#### რადიო „კომერსანტის“ რუბრიკები

- 1. „შენი ექიმი“, სადაც ქვეყნის წამყვანი კლინიკების ექიმენი აძლევენ მსმენელს რჩევებს ჯანსაღი ცხოვრების წესისშეახებ თავის მოვლის , პროფილაქტიკურ და პრევენციულ სამედიცინო რეკომენდაციებს.
- 2. „ ტექნო წიკი“, ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს და ამ რუბრიკის საშუალებით მსმენელი ეცნობა მსოფლიოს და საქართველოს ტექნოლოგიურ სიახლეებს და არსებულ ტენდენციებს, ინოვაციებს.
- 3. „თბილისის გზები“ – რადიო „კომერსანტის“ და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთობლივი რუბრიკა, რომლის საშუალებითაც მსმენელს ვაწვდით ინფორმაციას დედაქალაქის მასშტაბით გზებზე არსებულ სიტუაციას.
- 4. „დილის აფიშა“ –კინოთეატრების ყოველდღიური აფიშა.
- 5. „დილის განსხვავებული ბიზნეს ამბები“ – ამ რუბრიკაში მსმენელს ვუყვებით განსხვავებულ , ექსტარორდინალურ გადაწყვეტილებებს და ინოვაციებს მსოფლიო ბიზნესში.
- 6. რუბრიკა „მარიესტ–ჯი“ – ყოველდღიური რუბრიკები სარესტორნო და სასტუმრო ბიზნესის და აფიშის შესახებ.
- 7. „ბიზნეს–ფსიქოლოგია“ – მსოფლიოში ცნობილი ბიზნესფსიქოლოგების რჩევები.

- 8. „მილიარდერები“ – ცნობილი მილიარდერების ისტორიები , მათი ბიოგრაფიული და ბიზნეს ისტორიები.
- 9. „ტურ–ინფო“ – ეთერში ყოველ სამუშაო დღეს. ამ რუბრიკის საშუალებით მსმენელს ვაწვდით ინფორმაციას სხვადასხვა ტურისტული მიმართულებების, დასვენებისა და ტრანსპორტირების ფასების ,სავიზო საკითხების შესახებ. ტურისტული კომპანიების შეთავაზებს.
- 10. ვალუტი კურსი – ყოველდღიური ინფორმაცია ვალუტის კურსის შესახებ
- 11. საწვავის ფასები –ყოველდღიური ინფორმაცია საწვავის ბაზარზე არსებული ფასების შესახებ
- 12. ამინდის პროგნოზი – ამინდის პროგნოზი ყოველდღიურა . პროგნოზი კურორტებიდან და ეკონომიკურად აქტიური რეგიონებიდან – სადაც შეიძლება ბიზნეს აკეთებდეთ.
- 13. პოეზიის 365 დღე – უნიკალური ლიტერატურული პროექტი კომერსანტზე, ყოველ დღე ქართველი პოეტების ლექსები , რომლებსაც ახალგაზრდა ქართველი მსახიობები კითხულობენ.
- 14. სპორტის დრო კომერსანტზე– ყოველდღიური რუბრიკა . საქართველოში და მსოფლიოს სპორტის მოვლენები. სპორტში განხორციელებული ინვესტიციები და ქართულ სპორტში მიმდინარე რეფორმები.

რადიო „კომერსანტის“ ეთერში დაგეგმილი პროექტები:

- გადაცემა „აწარმოე ქართული“ - საქართველოს პრემიერ მისტრის მიერ ინიცირებული პროექტის ქართული წარმოების მხარდაჭერის ინფორმაციული მხარდაჭერა. გადაცემის არსი მდგომარეობს ამ პროექტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების და ზოგადად ქართული წარმოების კონკრეტული ქეისების განხილვა ეთერში მწარმოებლებთან და პროექტის სხვა მხარეებთან ერთად.
- „ქართული ხარისხი“ - გადაცემა გაკეთდება ფონდი „ქართული ხარისხის“ მხარდაჭერით და შეეხება ხარისხის ნიშნის მქონე ქართული კომპანიების საქმიანობას, ხარისხის შემოწმების და დანერგვის სისტემას, მათ პრობლემებს და ფალსიფიკაციასთან ბრძოლის თემებს. საუბარი იქნება მსოფლიო ბრენდებზე, რომლებმაც დროს გაუძლეს და დღემდე ინარჩუნებენ ხარისხის უმაღლეს სტანდარტებს..
- „ევროპული არჩევანი“ - რას და როგორ აპირებს ბიზნესი, ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მიღწეული შეთანხმების გამოყენებით, საკუთარი ბაზრების დივერსიფიკაციას და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, რა პრობლემები აქვს ამ პროცესში.რა კონკრეტული მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს ქართულმა როდუქტმა, რომ შეძლოს ეუროპულ ბაზარზე დამკვიდრება. გადაცემის ფორმატით მოხდება ყოველ კონკრეტულ სფეროში არსებული ეუროპული სტანდარტების განხილვა შესაბამისი დარგის ქართველ წარმომადგენელთან და ექსპერტებთან ერთად. სადაც მოხდება შედარება ჩვეს რეალობასთან და გამოჩნდება ნაკლოვანებები და საჭიროება.
- 
- „ღვინის დრო“ - გადაცემა ქართული ღვინის წარმოებაზე. ადგილწარმოშობის მიხედვით ბრენდირებული ქართული ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, ქართული ღვინის ექსპორტისთვის ახალი ბაზრების მოძიება და მევენახეობის როგორც ტრადიციული ქართული დარგის განვითარების მიმართულებები. ტრადიციული ქართული ქვევრის ღვინის პერსპექტივა მსოფლიო ბაზრებზე, როგორც უნიკალური მოვლენა მეღვინეობაში.
- 
- „ცხელი ხაზი“ - გადაცემის არსი მდგომარეობს, გადამოწმდეს პირდაპირ ეთერში ყველა ის საკომუნიკაციო არხი, სახელმწიფო, მუნიციპალურ თუ კერძო სტრუქტურებში რომლებიც ვალდებული არიან კომპეტენტური ინფორმაციით უზრუნველყონ მომხმარებელი. (კომპანიაში რეკავენ რადიოეთერიდან, ზარი არ არის წინასწარ შეთანხმებული და შესაბამისად არადამკმაყოფილებელი მომსახურების მიღების შემდგომ, ვეცდებით გავარკვიოთ თუ როგორ რეაგირებენ ზემდგომი ორგანოები აღნიშნულზე. ეს იქნება სახალხო მონიტორინგი ყველა „ცხელი ხაზის“ რომელიც აუცილებელია ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყველაფერი პირდაპირ ეთერში რეალურ დროში გადაიცემა).



### **ფორმატი:**

რადიოეთერის მაუწყებლობის 70% შეადგენს საუბარი, ხოლო 30% მუსიკა. ძირითადი მაუწყებლობის დრო დილის 8 საათიდან საღამოს 24 საათამდე.

მუსიკალური ფორმატი – ყველა დროის შერჩეული ჰიტები და ცნობილი კომპოზიციების ქავერები . 24 საათიდან ღამის ჯაზი კომერსანტზე. მსოფიო ჯაზური კომპოზიციების უწყვეტი ეთერი.

### **მაუწყებლობის თემატიკა:**

რადიოს სამაუწყებლო ეთერი არ ითვალისწინებს თემატურ შეზღუდვებს, თუმცა ძირითადი თემატიკა არის ბიზნესი და ეკონომიკა (საქართველოს და საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ნორმებში, ადამიანის უფლებების დაცვით და ზიანის მიყენების გარეშე).

რადიო „კომერსანტი“ მსმენელს სთავაზობს გადაცემებს, რომლის თემატიკაც არის საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა, დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება. ევროპული სტანდარტების და ხარისხის დანერგვა. ასევე, ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმები. რეფორმები ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში, განათლებაში . პროცესები კულტურასა და სპორტში.

აღნიშნული თემები თავისი აქტუალობიდან გამომდინარე ითვალისწინებს დებატებს, მოქალაქეების სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა პოზიციების შეჯერებას სადაც აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო, სამეცნიერო თუ არასამთავრობო სექტორი. მსგავსი აქტივობა უზრუნველფს თემატურ მრავალფეროვნებას.

### **აუდიტორია:**

რადიო ორიენტირებულია საზოგადოების ყველაზე აქტიურ ნაწილზე: ასაკის, საზოგადოებრივი სტატუსის თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყნის როგორც პოლიტიკაში ასევე ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე პროცესები. იხ. დანართი (კვლევის შედეგები – კომერსანტის პოზიციები თბილისში)

### **რადიოს მიზანი:**

„კომერსანტის“ მიზანია საზოგადოების ინფორმირება და მისი ჩართვა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორცაა ბიზნესი, ეკონომიკა, სოციალური პოლიტიკა, განმანთლება და სახელმწიფო სერვისებში ხარისხის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება. მიღწევების და პრობლემის წარმოჩენა მომსახურების ყველა ეტაპზე, შესაბამისი რეაქციების გაშუქება და მასზე საზოგადოებრივი კონტროლის მობილიზება.

რადიოს სტრატეგიული მიზნები:

- ერთი წლის განმავლობაში განახორციელოს მაუწყებლობის გაფართოება საქართველოს რეგიონების მამტაბით.
- შეინარჩუნოს წამყვანი ბიზნეს-რადიოს სტატუსი FM სივრცეში
- დამუშავდეს ახალი მაუწყებლობის ტექნოლოგიები, მაუწყებლობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის
- დარჩეს აუცილებელ მედია-მოვლენად საქართველოს ბიზნეს და ეკონომიკურ ცხოვრებაში, შეუცვლელი პარტნიორი საზოგადოების და სახელმწიფოსი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში

რადიო „კომერსანტის“ კონკურენტუნარიანობა:

ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ FM ბაზარზე თბილისში არც ისე მრავალფეროვანი არჩევანია, მუსიკალური ფორმატების თუ საზოგადოებრივ პოლიტიკური თემატიკის გათვალისწინებით


კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისას რადიო „კომერსანტის“ უპირატესობა არის ის, რომ განსაკუთრებულად ორიენტირებულია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სექტორზე როგორცაა ბიზნესი და ეკონომიკა . ამ თემატიკაზე აქცენტირებული ერთადერთ რადიო მაუწყებლი.

**პირველი ბიზნეს რადიო საქართველოში!**

სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება ქვეყანის ეკონომიკური პროცესებით და ბიზნესში მიმდინარე მოვლენებით. მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია მათი ცხოვრების დონე, ჯანდაცვის უზრუნველყოფა, სოციალური საკითხები, განათლება და ბიზნესის კეთების გარემო და შესაძლებლობები.

ფინანსურ წყაროებთან წვდომა, ბანკები და საკუთარი ფინანსების მართვის საკითხები. რაც განაპირობებს რადიოს მაღალ საჭიროებას როგორც ბიზნესისთვის ისე ამ თემატიკით დაინტერესებული ადამიანებისთვის. აღნიშნული არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ავტორიტეტული კვლევებით გამოიკვეთა. იხ.დანართი (IPM georgia კვლევა . ბიზნეს და საბანკო სფეროში ინფორმაციის მიდოსების წყაროს შესახებ)

თემები რაზეც აქცენტი კეთდება რადიოს კონცეფციაში დღეს ძალიან „ მომგებიანი ბიზნესია“. აუდიტორიის მოსაზიდად და ასეთი ბიზნესი ამლიერებს ქვეყანას.



The Institute for Polling and Marketing  
8, Baratashvili Str., 0105, Tbilisi,  
Georgia  
Tel: +995 32 99 72 14  
Fax: +995 32 99 85 06



# FM 95.5

რადიო კომერსანტისათვის ჩატარებული  
რადიენობრივი კვლევების შედეგები (აუდიტორია  
ქვეყნის წამყვანი საწარმოების და ფინანსური ინსტიტუტების  
თანამშრომლები)




## რადიოს მოსმენის სიხშირე და პირობები

რადიოს მოსმენა	პროცენტი %
რადიო თითქმის სულ ჩართული მაქვს	2.4
რადიოს ვუსმენ ყოველდღე როცა თავისუფალი დრო მაქვს	22.9
რადიოს ვუსმენ თითქმის ყოველდღე	49.8
რადიოს ვუსმენ კვირაში რამოდენიმეჯერ მაინც	18.0
რადიოს ვუსმენ იშვიათად თვეში ერთი-ორჯერ	6.7

რადიოს მოსმენის პირობები	პროცენტი %
მანქანაში	87
სახლში	12
სამსახურში	5
ვარჯიშის დროს (ყურსასმენებით)	5
სეინობის დროს (ყურსასმენებით)	2
უმრავლად ქუჩაში სიარულის დროს (ყურსასმენებით)	1
ტრანსპორტში (ყურსასმენებით)	4

**რადიო სადგურების მოსმენის ზოგადი სურათი (რამოდენიმე პასუხი)**


სხვადასხვა რადიო სადგურს კვლევის აუდიტორია უსმენს შემდეგი პროცენტული განაწილებით :



გამოკითხულთა აუდიტორია	327 კაციდან
სტატისტიკური მონაცემები	percent of cases

**ძირითადი ერთი რადიო სადგური (მხოლოდ 1 მასუბი)**

რესპონდენტებს ყველაზე ხშირ შემთხვევაში ძირითად რადიო სადგურად არჩეული აქვთ **ფორტუნა (12%)** და **იმედი (11%)**




გამოკითხულთა აუდიტორი	327 კაციდან
სტატისტიკური მონაცემები	Valid percent




### ინფორმაციულად საინტერესო რადიოსადგურები

ინფორმაციის მიღების კუთხით ყველაზე საინტერესოდ მიჩნეულია რადიო კომერსანტი და რადიო იმედი, რადიო კომერსანტს საინტერესოდ თვლის გამოკითხულთა 16% იმედას კი-17%




## მუსიკალური ეთერის მიხედვით ყველაზე საინტერესო რადიო სადგური

მუსიკის მოსმენის კუთხით ყველაზე საინტერესოდ მიჩნეულია რადიო ფორტუნა (22%) და რადიო უცნობი (17%)



## ყველაზე საინტერესო სფეროები რადიო გადაცემების შერჩევასა



რესპონდენტებისთვის ყველაზე საინტერესო სფეროდ მიჩნეული იქნა “ეკონომიკა და ბიზნესი” (50%) და კულტურა(37%)






**7 რადიო სადგურები რომლებიც აქტუალურია ბიზნეს ეკონომიკური და საბანკო თემების კუთხით ინფორმაციის მისაღებად**

გამოკითხულთა **47%-ს** მოუხმენია გადაცემა საბანკო თემაზე და ეკონომიკა-ბიზნესზე, აქედან ცალ-ცალკე **34%** საბანკო თემა და **43%** ეკონომიკა და ბიზნესი. **53%**\_ს საერთოდ არ მოუხმენია გადაცემა არცერთ თემაზე



საბანკო სექტორში გამოკითხული 81 რესპონდენტიდან 44,4% უსმენს გადაცემებს საბანკო და ეკონომიკა-ბიზნესის თემებზე, სადაზღვეო კომპანიებიდან—64%. ამ ტიპის გადაცემებით ყველაზე მეტად დაინტერესებულია სახელმწიფო დაწესებულებები (75%) და ყველაზე ნაკლებად დაინტერესებულია განათლების სექტორში გამოკითხული კომპანიები (8,3%).

### სექტორში გამოკითხული ადამიანების რაოდენობა





The Institute for Polling and Marketing  
8, Baratashvili Str., 0105, Tbilisi,  
Georgia  
Tel: +995 32 99 72 14  
Fax: +995 32 99 85 06



FM 95

# დასასრული მადლობა

რადიო კომუნიკაციებისათვის ჩატარებული რეკლამების  
კვლევის შედეგები

თბილისი, 2012, აპრილი